27-04-10 № 12/37819-13.

თბილისის არქიტექტურა №

მოქ. დავით კიტეიშვილს
მის. ქ. თბილისი, თამარაშვილის შეს. №4
ტელ. 899 18 85 75, 29 34 92, 29 39 58

ბატონო დავით,

თქვენი 30.03.10 №12/37819-13 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის შესახვევ №4-ში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2010 წლის 7 აპრილის №13 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოცემულ საკითხს მიეცა თანხმობა კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს (იხ. დანართი 1) და შესაბამისი განკარგულების დამოწმებულ ასლს (იხ. დანართი 2). ასევე გაცნობებთ, რომ ამ დოკუმენტაციის ციფრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.tbilisi.gov.ge/ ჩანართი – თბილისის არქიტექტურა და აგრეთვე www.tbilisi.gov.ge/architect/.

დანართი 1: "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2010 წლის 7 აპრილის №13 სხდომის ოქმიდან ამონარიდი.

დანართი 2: ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 15 აპრილის №1314 განკარგულების დამოწმებული ასლი.

პატივისცემით,

გეგმების მართვისა და
ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი ი. მურღულია

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და
განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი № 13

ქ. თბილისი 7 აპრილი, 2010 წელი.

კომისიის თავმჯდომარე: დავით ნინიძე.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: არისი ბოჭოიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, მაკა შავიშვილი, ნიკოლოზ ჩხაიძე, კახაბერ ნიაური.

მოწვეულები: გ. ტიკურიშვილი, მ. ბალიაშვილი, ც. პირაზოვა, თ ბეჭანიშვილი, დ. კიტეიშვილი, მ. კალანდაძე, კ. დანელია, ვ. დანელია, კ. მორჩილაძე, ბ. კალანდარიშვილი, დ. სარაჯიშვილი, გ. ჭიჭინაძე, თ. კაპანაძე, რ. მიქიაშვილი, ლ. ხუხაშვილი, ლ. მიქაუტაძე, გ. მონიავა, დ. ბახტაძე, ლ. აბრამიშვილი, თ. ბზიავა, ლ. ჩხეიძე, ნ. ნოსაძე, თ. კოპაძე, თ. თადარიშვილი, ე. ყურაშვილი, ნ. ბულნაძე, მ. გელაშვილი, ო. გელაშვილი, ვ. ცომაია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ. №40-ში (შევარდენის სტადიონი) №01/17/11/032/002 მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეულები – გ. ტიკურიშვილი, მ. ბალიაშვილი).

2. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ნავთლუღის დასახლებაში, XIII ქუჩის №13-ში, №01/17/09/013/017 მიწის ნაკვეთზე, ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ც. პირაზოვა).

3. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. №4-ში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაზე დაშენებზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

3. თ. ბეჟანიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის შესახვევ №4-ში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაზე დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „ჰიპოკრატე" რექტორი, პროფესორი დ. კიტეიშვილი.

არსებული პარამეტრები –კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=3,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია. სართულიანობა განისაზღვროს: 4 – სართული.
- მისაღებია არაუმეტეს 4-სართულისა.
- განმეორებით იქნეს განხილული. მისაღებია თუ დაცული იქნება სასწავლო დაწესებულებებისთვის დაწესებული ყველა ნორმები.
- მისაღებია.
- მისაღებია არაუმეტეს 4 – სართულისა.
- მისაღებია არაუმეტეს 4 –სართულისა.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის შესახვევ №4-ში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაზე დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: **–კ2=3,5. სართულიანობა; – 4 სართული.**

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდევინების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. №31 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე, 6, წინააღმდეგი: 1.